

შპს „ამბიენს“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ამზიენს"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15061703	16048651	11698299	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4531528	2344925	1040713	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	283046	39283	94390	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	3636055	2788523	5402074	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	3636055	2788523	5402074	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	21875	10680	12958	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები		61	188	
ძირითადი საშუალებები	107765	135664	161807	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	23641972	21367787	18410429	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	4589961	4518350	4840418	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1722	1189	1232	
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	10488	278517	30684	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	4602171	4798056	4872334	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	19037927	16567858	13536221	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1874	1873	1874	
სულ საკუთარი კაპიტალი	19039801	16569731	13538095	3.4
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	23641972	21367787	18410429	
სულ მოკლევადიანი აქტივები	23534207	21232062	18248434	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4602171	4798056	4872334	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.				
დირექტორი: _____ რ. ნამაზოვი				
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ამბიენს"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2023	2022	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	14789212	13632661	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	14420008	13261864	
- მომსახურების გაწევიდან	369204	370797	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-8254517	-8586489	3.5
საერთო მოგება	6534695	5046172	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-578766	-569979	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-29420	-26270	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-30230	-30664	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1204817	-1081442	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები	-1843233	-1708355	
საოპერაციო მოგება	4691462	3337817	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	435448	-982179	3.7
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	615	675938	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	5127525	3031576	
მოგების გადასახადის ხარჯი	-475565		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	4651960	3031576	3.8
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	4651960	3031576	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	16569731	13538095	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2694869		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	512979	60	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	19039801	16569731	3.4
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.			
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ამბიენს"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1493828	6102787
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-5828	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-2560126	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-1072126	6102787
სავალუტო კურსის ეფექტი	85178	-1752435
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	16048651	11698299
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	15061703	16048651
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.		
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ამბიენს“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 12 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია - 401954122, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სამტრედიის ქ., კორპ. N51, ბინა N89. კომპანიის ახლანდელი ფაქტობრივი მისამართია: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. N 12.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები ამჟამად არიან: 75% - რასიმ ნამაზოვი (1CH8ZYZR, C00997869, P5300186 /აზერბაიჯანი/), 25% - შახლა მამედოვა (1W18RS9, C00987559 /აზერბაიჯანი/).

კომპანიის დირექტორია რასიმ ნამაზოვი (პ/ნ 01024017561).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პოლონეთიდან მედიკამენტების იმპორტი და შემდგომი რეექსპორტი აზერბაიჯანში. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობაა ფარმაცონსალტინგი და მედიკამენტების რეგისტრაცია.

1.4. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შეიღობილი და მეკავშირე საწარმოები. მას აქვს რეგისტრირებული ფილიალი (წარმომადგენლობა) აზერბაიჯანში, რომელიც ფუნქციონირებს 2019 წლიდან.

1.5. კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2023 წელს შეადგენდა 19 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე (შენიშვნა: ამჟამად, ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად აღარ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ახარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად,

2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.702 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: 1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	41	834
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	14466599	15148184
ევრო საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	594962	899627
ფული საბანკო ანგარიშებზე (აზერბაიჯანი)	101	6
სულ:	15061703	16048651

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
რეექსპორტისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული საქონელი	3636009	2788477
საწვავ-საცხები მასალები	46	46
სულ:	3636055	2788523

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალების დასახელება	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2022	დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2022	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2023	დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2023
ძირითადი საშუალებები აზერბაიჯანში	204345.13	71076.91	133268.22	204345.13	102081.10	102264.03
კავშირგაბმულობის საშუალებები	6424.58	4774.03	1650.55	10829.66	6633.15	4196.51
კომპიუტ. ტექნიკა და სხვა მოწყობილობები	8729.62	7983.86	745.76	10152.50	8848.06	1304.44
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები (გარდა ავეჯისა)	12785.58	12785.58	0.00	12785.58	12785.58	0.00
მცირეფასიანი ავეჯი	1050.86	1050.86	0.00	1050.86	1050.86	0.00
სრულად	233335.77	97671.24	135664.53	239163.73	131398.75	107764.98

3.4. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალის უდიდეს ნაწილს შეადგენს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება, რაც 2023 წლის ბოლოსთვის 19037927 ლარია. მასში ჩართულია რამდენიმე მყიდველთან 2022 წლის ინვოისების დაკორექტირებით გამოწვეული მოგება 512979 ლარი. საკუთარი კაპიტალის სიდიდეში 2022 და 2023 წლების ბოლოსთვის, გარდა დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისა, ჩართულია ასევე აზერბაიჯანის ფილიალთან მომხდარი ოპერაციებიდან წარმოშობილი სავალუტო საკურსო სხვაობა 1874 ლარი, რომელიც არ მიეკუთვნება მოგება-ზარალს, არამედ აღიარდება როგორც სხვა სრული შემოსავალი.

3.5. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2023 წელი	2022 წელი
საქონლის რეექსპორტი	14395008	13261864
საქონლის გაყიდვა საქართველოში	25000	
ფარმაცონსალტინგი	86310	116497
წამლების რეგისტრაცია	282894	254300
სულ:	14789212	13632661

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2023 წ. – 8254517 ლარი, 2022 წ. – 8586489 ლარი) მთლიანად შედგება გაყიდული საქონლის (მედიკამენტების) თვითღირებულებისაგან. ეს საქონელი იმპორტირდება პოლონეთიდან და ექსპორტირდება აზერბაიჯანში, გარდა საქართველოში ერთჯერადად რეალიზებული საქონლისა.

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
მიწოდების ხარჯები	1416	23461
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	8034	8034
პროგრამული და კომპიუტერული ხარჯები	5746	8562
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	469	33
მივლინების ხარჯები	125583	113785
ელ.ენერგია, გაზი, წყალი	123	84
„ავერსის“ მომსახურება	294746	281241
საკომუნიკაციო ხარჯები	1674	1614
საბანკო ხარჯები	53438	15905
აზერბაიჯანის ფილიალის ხარჯები	612713	569809
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	100875	58914
სულ:	1204817	1081442

3.7. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2023 წელი	2022 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	450518	1047317
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-15070	-2029496
სულ:	435448	-982179

3.8. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიაში 2022 წელს დივიდენდები არ გაცემულა. დივიდენდების გაცემა განხორციელდა 2023 წელს, თანხით 2694869 ლარი (დივიდენდებიდან 5% საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით), რომლის შესაბამისმა მოგების გადასახადმა შეადგინა: $(2694869/0.85)*15\%=475565$ ლარი.

3.9. სასამართლო დავები:

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 28 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "ამბიენს"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1493828	6102787
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-5828	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-2560126	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-1072126	6102787
სავალუტო კურსის ეფექტი	85178	-1752435
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	16048651	11698299
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	15061703	16048651

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.

Rasim Mammadov

შპს "ამბიენს"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	14789212	13632661	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	14420008	13261864	
- მომსახურების გაწევიდან	369204	370797	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-8254517	-8586489	3.5
საერთო მოგება	6534695	5046172	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.6
დასაქმებულთა ანაზღაურება	-578766	-569979	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-29420	-26270	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-30230	-30664	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1204817	-1081442	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1843233	-1708355	
საოპერაციო მოგება	4691462	3337817	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.7
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	435448	-982179	3.7
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	615	675938	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	5127525	3031576	3.8
მოგების გადასახადის ხარჯი	-475565		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	4651960	3031576	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			3.4
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	4651960	3031576	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	16569731	13538095	3.4
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2694869		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	512979	60	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	19039801	16569731	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.

დირექტორი: Rasim Namazov

რ. ნამაზოვი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15061703	16048651	11698299	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4531528	2344925	1040713	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	283046	39283	94390	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	3636055	2788523	5402074	3.2
მ.შ. - შხა პროდუქცია				
- სხვა	3636055	2788523	5402074	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	21875	10680	12958	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები		61	188	
ძირითადი საშუალებები	107765	135664	161807	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	23641972	21367787	18410429	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	4589961	4518350	4840418	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1722	1189	1232	
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	10488	278517	30684	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	4602171	4798056	4872334	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	19037927	16567858	13536221	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1874	1873	1874	
სულ საკუთარი კაპიტალი	19039801	16569731	13538095	3.4
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	23641972	21367787	18410429	
სულ მოკლევადიანი აქტივები	23534207	21232062	18248434	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4602171	4798056	4872334	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.

დირექტორი:



რ. ნამაზოვი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.